პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 7 ნოემბერი, 1951 წ. № 263 (9117). ფასი 20 კაპ.

# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXIV წლისთავს!



სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი



სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ვასილევსკი



სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი კუზნეცოვი

# ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი, მგზნებარე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ხალხის გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, მშვიდობის დიდ მედროშეს!

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ისტორიულ ერას, ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის გზა გაუნათა ჩაგრულ და ექსპლოატირებულ მასებს და ჩვენი ქვეყანა მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში ჩააყენა.

დიდი ოქტომბრის ოცდამეთოთხმეტე წლისთავს საბჭოთა ხალხი ხვდება ახალი შესანიშნავი გამარჯვებებით ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის თქვენ მიერ დასახული დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

წარმატებით იქმნება კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართო ფრონტით გაჩაღდა მუშაობა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების, არხებისა და სარწყავი სისტემების ასაგებად.

ლენინ-სტალინის პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში. განუხრელად უმჯობესდება მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობა.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები, თავიანთი მოწინავე რაზმის — მოსკოველი ბოლშევიკების მეთაურობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით იბრძვიან ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოებში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულის, მასალისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის. დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ 1951 წლის 10 თვის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს კარგი მოსავალი მოიყვანეს და ვადამდე შეასრულეს პურისა და კარტოფილის დამზადების სახელმწიფო გეგმა. აღმავლობის გზაზეა ოლქის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები პირობას გაძლევენ თქვენ, რომ კვლავაც დაუღალავად იშრომებენ ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმისათვის.

ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეები, სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი სულ უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ხალხთა ბედზე, მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ლენინიზმის დროშით მოიპოვეს თავისუფლება ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა და წარმატებით აშენებენ ახალ ცხოვრებას.

კაპიტალის ქვეყნების ასეულ მილიონობით ჩაგრული და ექსპლოატირებული შეჰყურებს საბჭოთა ქვეყანას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძლიერ ბურჯს, შემოგყურებთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ბელადს.

თქვენი სახელი, ამხანაგო სტალინ, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერების სიმბოლოა, კომუნიზმის მომავალი გამარჯვების სიმბოლოა.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს კომუნისტების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

## საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 800 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი

საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა 5 ნოემბრისათვის შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივანი ამხ. **ნუცუბიძე** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **დავითაშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დათესონ 800 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი.

## ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეორე ტომი აზერბაიჯანულ ენაზე

**ბაქო.** (საქდესი). აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ აზერბაიჯანულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამეორე ტომი.

რუსული ენიდან თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის აზერბაიჯანის ფილიალმა.

★ ★ ★

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა
## № 142

**1951 წლის 7 ნოემბერი** — **ქალაქი მოსკოვი**

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც კაპიტალისტური მონობისაგან გაათავისუფლა ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ჩვენი სამშობლოს ხალხები ხვდებიან შესანიშნავი მიღწევებით პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. საბჭოთა ადამიანებმა, შეასრულეს რა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი, მოიპოვეს ახალი გამარჯვებანი 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაში. მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი საბჭოთა მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში. წლითიწლობით უმჯობესდება საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

საბჭოთა ხალხი ყველა თავის მიღწევას უნდა უმადლოდეს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გენიალურ ხელმძღვანელობას, თავის საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ **სტალინს**.

საბჭოთა კავშირი, ეწევა რა შემოქმედებითს შრომას, განუხრელად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

იმპერიალიზმის ბანაკს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მეთაურობენ, არა სურს მშვიდობა, აშკარად ემზადება ახალი მსოფლიო ომისათვის საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ამ მიზნით იმპერიალისტები აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, აღორძინებენ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რეგულარულ არმიებს.

საბჭოთა მეომრები თავიანთი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნებით ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე, გულმოდგინედ იუმჯობესებენ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, ყოველი ღონისძიებით ამაღლებენ ჯარების საბრძოლო მზადყოფნას.

საბჭოთა ხალხს სავსებით შეუძლია დაენდოს თავის არმიას, რომელიც დიდი ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო დამცველია.

ამხანაგო ჯარისკაცებო და სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს! გისურვებთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც საბჭოთა არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

დიდება ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს — ჩვენს საყვარელ ბელადს, ბრძენ მასწავლებელსა და გენიალურ მხედართმთავარს დიდ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **ვასილევსკი**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა
## № 109

**1951 წლის 7 ნოემბერი** — **ქალაქი მოსკოვი**

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

დღეს საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ შთაგონებული და დარაზმული ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ხალხები ახალ დიდ გამარჯვებებს აღწევენ კომუნიზმის მშენებლობაში, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ ზრდაში.

იზრდება და მტკიცდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალები დიდ დღესასწაულს ხვდებიან ახალი მიღწევებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში და, ასრულებენ რა ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, ფხიზლად დგანან ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრებისა და სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე.

ომის ამერიკელ-ინგლისელი გამჩაღებლები აძლიერებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას სსრ კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, აფართოებენ სამხედრო ბაზებს, ქმნიან დაქირავებულთა არმიებს თავიანთი სამხედრო ავანტიურებისათვის, ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხები და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ ისინი.

ამ პირობებში სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობა ვალდებულია განუწყვეტლივ გააძლიეროს სიფხიზლე და ხომალდებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნა, ყოველდღიურად აუმჯობესოს თავისი მხედრული ოსტატობა, დაეუფლოს რთულ საბრძოლო ტექნიკას, განამტკიცოს სამხედრო დისციპლინა, ორგანიზებულობა და წესრიგი, ამრავლოს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულთა რიგები.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

მოგესალმებით და მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის დღესასწაულს და გისურვებთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას—საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ და ბრძენ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრი
ვიცე-ადმირალი **ნ. კუზნეცოვი**

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი

## ლ. პ. ბერიას მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1951 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის ხალხები დღეს დღესასწაულობენ ლენინის გენიით გაცისკროვნებული დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეთოთხმეტე წლისთავს, რევოლუციისა, რომელმაც კაცობრიობას გაუხსნა გზა ახალი, სოციალისტური სამყაროსაკენ. ამ გზით წინსვლის ყოველ წელიწადს ჩვენი სამშობლოსათვის ახალი წარმატებები მოაქვს.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლუციის 33-ე წლისთავიდან 34-ე წლისთავამდე, ისევე როგორც დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ მთელი ხნის განმავლობაში, მიმდინარეობდა ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. **(ხანგრძლივი ტაში).** ამხანაგი სტალინი გენიალური შორსმჭვრეტელობით აძლევს ორიენტაციას პარტიასა და ხალხს საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ურთულეს მოვლენებში და სახავს შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. ამხანაგ სტალინის დაუშრეტელი ენერგია როგორც დიდი, ისე მცირე საქმეებისადმი ყოველდღიურ ხელმძღვანელობაში, მისი უნარი — განსაზღვროს საბჭოთა სახელმწიფოს მთავარი ამოცანები, წარმართოს მთელი ჩვენი ძალები მათს გადასაჭრელად—უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის დიდ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობაში. **(ტაში).**

განვლილი 1950 წელი პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის დამთავრების წელი იყო. საბჭოთა ადამიანებმა და ყველა ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობარმა სიხარულით შეიტყეს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებისთვისაც ჩვენს ხალხს ბრძოლა უხდებოდა ომით მოყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშების ძნელ პირობებში, წარმატებით შესრულდა. ეს, უეჭველია, საბჭოთა ხალხის ახალი დიდი გამარჯვებაა, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება. მშვიდობიანი მშენებლობის წარმატებებმა გამოიწვია მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

საგარეო პოლიტიკის დარგში საბჭოთა კავშირი კვლავ განუწყვეტლივ იბრძოდა მშვიდობისათვის, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

ამ უკანასკნელი წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო მკვეთრად დაისახა ორი პოლუსი — მიზიდულობის ორი ცენტრი. ერთი მხრივ — საბჭოთა კავშირი, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს მეთაურობს, როგორც მიზიდულობის ცენტრი მთელი პროგრესული ძალებისა, რომლებიც იბრძვიან ახალი ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა უფლებისათვის — თვითონ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება. მეორე მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც იმპერიალიზმის ბანაკს მეთაურობენ, როგორც მიზიდულობის ცენტრი მთელი მსოფლიოს აგრესიული და რეაქციული ძალებისა, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი სხვა ხალხების გაძარცვისა და დამონებისათვის.

განვლილი წელი სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკში იყო ძალთა შემდგომი ზრდისა და დარაზმვის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების და მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების წელი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები. დიდი ჩინელი ხალხი, რომლებმაც თავიანთი ბედი გამოსტაცეს იმპერიალისტ დამმონებლებს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით, სიხარულითა და რწმენით აშენებენ ახალ სოციალისტურ ცხოვრებას. **(ტაში).**

განვლილი წელი იმპერიალიზმის ბანაკში იყო შინაგან და გარეშე წინააღმდეგობათა ახალი გამწვავების, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავებისა და ამ სისტემის დასუსტების, ომისათვის მზადების დანაშაულებრივი მიზნებისათვის მთელი ეკონომიკის დამორჩილებისა და მშრომელთა საარსებო ინტერესებზე ულმობელი შეტევის წელი.

### სსრ კავშირის მშვიდობიანი მშენებლობის ახალი წარმატებანი

ჩვენი ქვეყნისათვის 1951 წელი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის წელს წარმოადგენს. მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ, უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვიან სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამას მკაფიოდ მოწმობს პრესაში გამოქვეყნებული პატრიოტული წერილები ამხანაგ სტალინისადმი, რომლებითაც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკები უწყებიან თავიანთ საწარმოო გამარჯვებათა და სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ახალ ვალდებულებათა შესახებ.

ბოლშევიკური პარტია აღფრთოვანებს და რაზმავს ჩვენს ხალხს შრომითი საგმირო საქმეებისათვის, წარმართავს მის შემოქმედებითს ენერგიას ერთიანი მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. ლენინ-სტალინის დიადი იდეები დღითიდღე უფრო ღრმად სწვდება მშრომელთა ფართო მასების შეგნებას, ამრავლებს მათს ძალებს და უნათებს ბრძოლისა და გამარჯვებათა გზას. ეს გამოხატულებას პოულობს შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით, საზოგადოების წინაშე, სახელმწიფოს წინაშე თავისი მოვალეობის შესრულებაში დაუშრეტელი ინიციატივით. ეს არის ჩვენი წყობილების უძლეველობის წყარო, ჩვენი მუშაობის განუწყვეტელ წარმატებათა წყარო.

სამეურნეო მშენებლობის დარგში მიმდინარე წლის ათი თვის მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ 1951 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება. **(ტაში).** გასულ წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია დიდდება 15 და მეტი პროცენტით და ერთიორად გადააჭარბებს ომამდელი 1940 წლის პროდუქციას. მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები 1950 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაიზრდება.

ტექნიკური აღჭურვილობისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებამ და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების 10 პროცენტით გადიდება გასულ წელთან შედარებით. მიმდინარე წელს სამრეწველო პროდუქციის ზრდის თითქმის ორი მესამედი მიღებული იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებით. ეს ნიშნავს, რომ მრეწველობის პროდუქცია ჩვენში ძირითადად შრომის ნაყოფიერების გადიდებით იზრდება.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს ამხანაგ სტალინს, მრეწველობის მუშაობის ხარისხის მაჩვენებელს და სახალხო მეურნეობაში დაგროვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ამასთან ერთად იგი წარმოადგენს ფასების შემცირებისა და, მაშასადამე, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას. მიმდინარე წელს თვითღირებულების შემცირების გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული, რაც მარტო სამრეწველო პროდუქციის დარგში 26 მილიარდ მანეთ ეკონომიას მოგვცემს.

მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგმა წელს წარმოების სერიოზულ გადიდებას მიაღწია.

მნიშვნელოვნად დიდდება შავი ლითონების წარმოება. შარშანდელთან შედარებით მარტო თუჯის გამოდნობის ზრდა წელს შეადგენს 2 მილიონ 700 ათას ტონას, ფოლადისა — დაახლოებით 4 მილიონ ტონას, ნაგლინისა — 3 მილიონ ტონას. საბჭოთა კავშირი ახლა დაახლოებით იმდენსავე ფოლადს ადნობს, რამდენსაც ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და შვეცია ერთად. **(ტაში).** ჩვენი მეტალურგები ახლა გაცილებით უფრო ნაყოფიერად იყენებენ ბრძმედებსა და მარტენის ღუმელებს. მარტო ამით 1951 წელს დამატებით მივიღებთ 1 მილიონ 300 ათას ტონა თუჯს და 1 მილიონ 350 ათას ტონა ფოლადს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოების მიმდინარე წელს მიღწეული ზრდა.

შავ და ფერად მეტალურგიაში გაიზარდნენ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და საწარმოების ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და განუწყვეტლივ აუმჯობესებენ წარმოების ტექნიკას.

წარმატებით სრულდება ქვანახშირის ამოღების გეგმა. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე ქვანახშირის ამოღების ყოველწლიური ზრდა საშუალოდ 24 მილიონ ტონას უდრის. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობა ახლა არამარტო აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას, არამედ საჭირო რეზერვების შექმნაც უზრუნველყო.

ქვანახშირის მრეწველობაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე განხორციელებულმა ხელახალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ შესაძლებელი გახადა ისეთი მძიმე და შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაცია, როგორიცაა ლავებში ქვანახშირის გაყელვა, მონგრევა და გამოზიდვა, აგრეთვე მიწისქვეშა ტრანსპორტი და რკინიგზის ვაგონებში ქვანახშირის ჩატვირთვა.

საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ზრუნავენ მეშახტეთა შრომის ყოველმხრივ შემსუბუქებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მეშახტეები ყველაზე დაბეჩავებული და დაჩაგრული ადამიანები არიან, საბჭოთა სახელმწიფოში მეშახტეები ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობენ. ქვანახშირის მრეწველობის მუშებს ხელფასის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავთ სხვა დარგების მუშებს შორის. ამის შედეგად ჩვენ გვყავს მეშახტეთა მუდმივი კვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვანახშირის მრეწველობის წარმატებით განვითარებას.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ნავთის მრეწველობის მიღწევები. მთელი რიგი უკანასკნელი წლების მანძილზე ნავთის ამოღების ყოველწლიური ზრდა ჩვენში შეადგენს ოთხნახევარ მილიონ ტონას. მიმდინარე წელს ნავთის ამოღების გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. საძიებო ბურღვის დიდი პროგრამის განხორციელების შედეგად აღმოჩენილია ნავთის მდიდარი საბადოები ახალ რაიონებში და ბევრად გადიდდა ნავთის უკვე აღმოჩენილი სამრეწველო მარაგი.

დიდი მასშტაბით გაჩაღდა ნავთგადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობისა და გაფართოების სამუშაოები. პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილ მარტო ახალ ქარხნებს, რომლებიც მიმდინარე წელს ამუშავდება, შეუძლიათ ყოველწლიურად 6 მილიონი ტონა ნავთი გადაამუშაონ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა—ავიყვანოთ ნავთის ამოღება წელიწადში 60 მილიონ ტონამდე — ვადამდე იქნება შესრულებული. **(ტაში).**

დიდი წარმატებებია მიღწეული ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის განვითარებაში. მიმდინარე წელს გამომუშავებული იქნება 104 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც აღემატება ელექტროენერგიის წარმოებას ერთად აღებულ ინგლისსა და საფრანგეთში. ელექტროენერგიის გამომუშავების მარტო წლიური ზრდა ჩვენში წელს შეადგენს 13 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტს, რაც შვიდჯერ აღემატება რევოლუციამდელი რუსეთის ელექტროენერგიის მთელ წარმოებას.

მიმდინარე წელს უფრო ფართოდ გაჩაღდება ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა. იმ ელექტროსადგურებისა და ახალი აგრეგატების საერთო სიმძლავრე, რომლებიც 1951 წელს ამუშავდება, შეადგენს 3 მილიონამდე კილოვატს, რაც, დაახლოებით, უდრის ხუთ ისეთ დიდ ელექტროსადგურს, როგორიც დნეპრჰესია.

წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქიმიური მრეწველობა. მნიშვნელოვნად გადიდდა ქიმიური სასუქების წარმოება და 1950 წელთან შედარებით თითქმის გაორკეცდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და სარეველა ბალახებთან საბრძოლველი ახალი ორგანული შხამქიმიკატების გამოშვება. სინთეზური კაუჩუკის წარმოება შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით დიდდება. ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა საბჭოთა მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ქიმიის დარგის დიდი ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

ჩვენი სამეურნეო განვითარება წარმოუდგენელი იქნებოდა, განუწყვეტლივ რომ არ იზრდებოდეს და უმჯობესდებოდეს საბჭოთა მანქანათმშენებლობა — მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის საფუძველი.

მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქცია შარშანდელთან შედარებით 21 პროცენტით დიდდება. ელექტროსადგურებისათვის უმთავრეს სახეობათა ენერგეტიკული მოწყობილობის გამოშვება იზრდება 2-3-ჯერ. წელს ჩვენ ვამზადებთ 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინს. ასეთი სიმძლავრის ტურბინი მსოფლიოში პირველად იქმნება, რაც მოწმობს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სიმწიფეს. 1950 წელთან შედარებით თითქმის გაორკეცდება ნავთაპარატურის წარმოება. მანქანათმშენებელი მრეწველობა 1951 წელს გამოუშვებს 400-ზე მეტი ახალი ტიპის მანქანებსა და მექანიზმებს.

ჩვენს მანქანათმშენებლებს უფლება აქვთ იამაყონ ურთულესი თანამედროვე აპარატურის, გეოფიზიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრონული, ელექტროვაკუუმური და სხვა ზუსტი ხელსაწყოების წარმოებაში მოპოვებული წარმატებებით.

მრეწველობის წარმატებით განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების ზრდის მეოხებით მნიშვნელოვნად დიდდება ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება. წელს ამხანაგ სტალინის ინიციატივით მთავრობამ მიიღო ღონისძიებანი სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისათვის წლიური გეგმის გადამეტებით. ამის შედეგად მოსახლეობა მიიღებს მეტს, ვიდრე 1950 წელს, სამრეწველო და სასურსათო საქონელს: ქსოვილებს — 24 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმს — 35 პროცენტით, ფეხსაცმელს — 12 პროცენტით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებს — 20 პროცენტით, თევზის პროდუქტებს—8 პროცენტით, მცენარეულ ზეთს—35 პროცენტით, ერბო-კარაქს —8 პროცენტით, შაქარს—24 პროცენტით, ჩაის — 38 პროცენტით; კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელს: ველოსიპედებს — თითქმის ერთიორად მეტს, რადიომიმღებებს—25 პროცენტით, საათებს — 11 პროცენტით, ფოტოაპარატებს — 39 პროცენტით, საკერავ მანქანებს—28 პროცენტით, ავეჯს—44 პროცენტით მეტს. ჩვენი მრეწველობა უკვე იწყებს ტელევიზორების, ოთახის მაცივრების, სარეცხი და სხვა საოჯახო მანქანების მასობრივად გამოშვებას.

როგორც ხედავთ, ჩვენს მრეწველობას სერიოზული წარმატებები აქვს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც ნაკლოვანებანი იმ ცალკეულ საწარმოთა მუშაობაში, რომლებიც წარმოების ცუდი ორგანიზაციისა და მოწინავე ტექნიკის სუსტად გამოყენების გამო ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დავალებებს, აქეთ ნედლეულისა და სათბობის გადახარჯვა, აგრეთვე დანაკარგები წუნისაგან. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შესაძლებელს გახდიდა დამატებით მიგვეღო მნიშვნელოვანი ეკონომია.

ცალკეული საწარმოები, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ რა გეგმას საერთო პროდუქციის მხრივ, ყოველთვის როდი ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების სახელმწიფო გეგმით დაწესებულ დავალებებს. ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს, როგორც ჩანს, სურთ შეიმსუბუქონ მუშაობა და ამზადებენ ისეთ ნაწარმს, რომელიც ნაკლებ გარჯასა და ზრუნვას მოითხოვს. დროა მათ შეიგნონ, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება გეგმის არა ყოველგვარი შესრულება და გადაჭარბებით შესრულება, არამედ მხოლოდ ისეთი შესრულება, რომელიც სახალხო მეურნეობას უზრუნველყოფს მისთვის საჭირო პროდუქციით.

ჩვენს სოციალისტურ მეურნეობაში ყოველი ხელმძღვანელი, დიდ სამუშაოზე იქნება იგი თუ მცირეზე, სახელმწიფოს ინტერესებს ყველაზე მაღლა უნდა აყენებდეს და მტკიცედ იცავდეს სახელმწიფო დისციპლინას. საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას საქმისადმი ის ვიწრო უწყებრივი მიდგომა, რომელიც ჯერ კიდევ ემჩნევა ცალკეულ სამეურნეო მუშაკებს და ზიანს აყენებს ჩვენი გეგმიანი მეურნეობის ინტერესებს.

მიმდინარე წელი აღინიშნა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობით. სოფლის მეურნეობის გაზრდილმა ტექნიკურმა აღჭურვამ და სამუშაოთა უკეთ მოწყობამ საშუალება მოგვცა წელს მარცვლეული კულტურების მოსავალი უფრო მოკლე ვადაში აგველო და მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა მარცვლის დანაკარგი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მაღალი ხარისხის მარცვლეულის მოსავალი მიიღეს, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებანი და უზრუნველყვეს სათესლე ფონდების გამოყოფა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მარცვლეულის საერთო მოსავალი ყოველწლიურად 7 მილიარდ ფუთს აღემატება.

ბამბისა და შაქრის ჭარხალს წელს უფრო მეტს მივიღებთ, ვიდრე შარშან. ჩვენს ქვეყანას ახლა მეტი ბამბა მოჰყავს, ვიდრე მებამბეობით ცნობილ ინდოეთს, პაკისტანსა და ეგვიპტეს ერთად. **(ტაში).**

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წარმატებით იბრძვიან სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების სტალინური პროგრამის განსახორციელებლად. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ მეცხოველეობას მთავარი ადგილი უჭირავს პირუტყვის საერთო სულადობაში. მეცხოველეობის დარგში კვლავ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საკვები ბაზის გაფართოება.

სოფლის მეურნეობა სახელმწიფოსაგან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებს უახლეს მანქანებს. მიმდინარე წელს იგი მიიღებს 137 ათას ტრაქტორს 15-ძალიანზე გადაყვანით, 54 ათას მარცვლეულის ასაღებ კომბაინს, აქედან 29 ათას თვითმავალ კომბაინს, აგრეთვე ორ მილიონ სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანასა და იარაღს. დიდი მუშაობა წარმოებს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დარგში. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, შევამსუბუქოთ კოლმეურნეთა შრომა და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ამჟამად კოლმეურნეობათა მინდვრის ყველა სამუშაოს ორ მესამედზე მეტს ასრულებენ. 1951 წელს კოლმეურნეობებში მექანიზებულია თითქმის მთელი ხნა, ტრაქტორის სათესი მანქანებით ითესება სამი მეოთხედი ფართობი, მარცვლეული კულტურების მთელი მოსავლის 60-ზე მეტი პროცენტი აღებულია კომბაინებით. საბჭოთა მეურნეობებში თითქმის მთლიანად მექანიზებულია ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

განუხრელად იზრდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრე. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები მარტო შარშან 11 პროცენტით გადიდდა. კოლმეურნეებმა კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცონ და განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა — კოლმეურნეობათა შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ეს საფუძველი.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობასთან ერთად იზრდება აგრეთვე ჩვენი სარკინიგზო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი. წელს რკინიგზების ტვირთბრუნვა იზრდება 11 პროცენტით. აქვე უნდა ითქვას, რომ ზრდის ეს 11 პროცენტი თითქმის უდრის ერთად აღებულ ინგლისისა და საფრანგეთის რკინიგზების მთელ წლიურ ტვირთბრუნვას. **(ტაში).** სამდინარო ტრანსპორტით ტვირთზიდვა დიდდება 12 პროცენტით და საზღვაო ტრანსპორტით — 7 პროცენტით. ჩვენი ტრანსპორტელების მრავალრიცხოვანი არმიის შემდგომი ამოცანაა კვლავ დააჩქარონ ვაგონების ბრუნვა და უკეთ გამოიყენონ სარკინიგზო, სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის მთელი მოძრავი შემადგენლობა.

ჩვენი ქვეყანა მშენებლობის ფართო პროგრამას ახორციელებს. კაპიტალური მშენებლობის მასშტაბი წლითიწლობით დიდდება. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წელს ორნახევარჯერ და მეტჯერ აღემატება ომამდელი 1940 წლის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას.

სამშენებლო ორგანიზაციები სულ უფრო მეტ მანქანებსა და მექანიზმებს იღებენ, გაუმჯობესდა მათი უზრუნველყოფა სამშენი მასალებით. 1951 წელს ბევრად დიდდება ექსკავატორების, სკრეპერების, ბულდოზერების არსებული პარკი. ცემენტის წარმოება წელიწადში 2 მილიონი ტონით იზრდება. მნიშვნელოვნად დიდდება აგურის, შიფერის, თუჯისა და კერამიკული მილების და სხვა სამშენი მასალის გამოშვება.

ჩვენმა მშენებლებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მშენებლობის თვითღირებულების შემცირებისა და ვადების შემოკლების საქმეში. მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა წესრიგი დამყარდეს სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ორგანიზაციაში, უფრო ნაყოფიერად იქნას გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები, უკეთ მოეწყოს შრომა და მკვეთრად შემცირდეს ზედნადები ხარჯები. უნდა აღმოიფხვრას ზედმეტობა პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში, რაც ჯერ კიდევ არსებობს და აძვირებს მშენებლობას.

ჩვენს მშენებლობაში განსაკუთრებული ადგილი, როგორც იცით, უკავია უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, რომლებიც შენდება ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე. ამ მშენებლობებს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვებათ როგორც თავისი სიდიდის, ისე მშენებლობის ტემპების მხრივ. 1951 წლის სამუშაოთა მთავრობის მიერ დადგენილი გეგმები ყველა მშენებლობაზე წარმატებით სრულდება მთლიანად და გადაჭარბებით.

უკვე 1952 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა პირველი ამ ნაგებობათა შორის — ვოლგა-დონის სანაოსნო გზა. ამ გზის გახსნით ერთ მთლიან სატრანსპორტო სისტემად გაერთიანდება სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ყველა ზღვა. **(ტაში).**

ამ გრანდიოზულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა განხორციელების შედეგად დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანები გადაიჭრება. მარტო ახალი ელექტროსადგურები ყოველწლიურად მოგვცემენ ოცდაორნახევარ მილიარდ კილოვატ-საათ იაფ ელექტროენერგიას, რაც თითქმის უდრის იტალიის ელექტროენერგიის მთელ წლიურ გამომუშავებას. სარწყავი და წყლით უზრუნველყოფილი ფართობების გადიდება შესაძლებლობას მოგვცემს წელიწადში დამატებით მოვიყვანოთ 3 მილიონი ტონა ნედლი ბამბა, რაც შეადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბამბის საშუალო წლიური წარმოების მესამედზე მეტს, მოვიყვანოთ მილიარდნახევარი ფუთი ხორბალი, 30 მილიონი ფუთი ბრინჯი და 6 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა ამ რაიონებში გადიდდება 2 მილიონით და ცხვრისა — 9 მილიონით.

ამ ნაგებობათა მშენებლობა დაიწყო ამხანაგ სტალინის ინიციატივით, რომელიც დაუღალავად ზრუნავს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, საბჭოთა ადამიანების შრომის შემსუბუქებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამხანაგ სტალინის ინიციატივას მხურვალედ დაუჭირა მხარი მთელმა ჩვენმა ხალხმა, რომელმაც ამ ნაგებობებს სამართლიანად უწოდა კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი. **(ხანგრძლივი ტაში).**

კაპიტალიზმის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც წარმოება ერთ მუჭა ექსპლოატატორთა გამდიდრების მიზნებს ემსახურება, ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ინტერესები უდევს საფუძვლად მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას. წლითიწლობით იზრდება ნაციონალური შემოსავალი და ამ საფუძველზე მატულობს მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების შემოსავალი. 1951 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1950 წელთან შედარებით 12 პროცენტით დიდდება.

საბჭოთა მთავრობა ახორციელებს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკას. ამა წლის მარტში განხორციელდა სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი, უკანასკნელ წლებში სათვალავით მეოთხე, შემცირება, რამაც უზრუნველყო მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის შემდგომი ზრდა და გაიაფებული სამრეწველო საქონლის საყიდლად გლეხთა ხარჯის შემცირება.

წელს საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გასულ წელთან შედარებით 15 პროცენტით დიდდება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას ცოტა ნაკლი როდი აქვს. ჯერ კიდევ სუსტად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, ოლქებსა და რესპუბლიკებში ცალკეული სახის საქონლის მეტანისას უშვებენ შეცდომებს, ყოველთვის ჯეროვნად როდი იყენებენ საქონლის რესურსებს. ვაჭრობის მუშაკებმა სერიოზულად უნდა გააუმჯობესონ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება.

პარტია და მთავრობა მუდამ ზრუნავენ მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 27 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და სოფელ ადგილებში კოლმეურნეთა მიერ აგებული იქნება 400 ათასი საცხოვრებელი სახლი.

მეტად სასიხარულოა ის გარემოება, რომ ხალხის კეთილდღეობის ზრდისა და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის წარმატებების შედეგად ჩვენს ქვეყანაში სიკვდილიანობა ერთიორად შემცირდა ომამდელ 1940 წელთან შედარებით **(ტაში)** და კიდევ უფრო შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა. სსრ კავშირის მოსახლეობის ყოველწლიური წმინდა ზრდა უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში აღემატება მოსახლეობის ზრდას 1940 წელს და 3 მილიონზე მეტ სულს შეადგენს. **(ტაში).**

მაშინ როცა კაპიტალიზმის ბანაკში იმპერიალისტი კაციჭამიები მუშაობენ კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მოსპობისა და დაბადების შემცირების სხვადასხვა „მეცნიერულ" საშუალებათა გამოგონებაზე, ჩვენში, როგორც ამხანაგმა სტალინმა თქვა, ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერება სახელმწიფოს მთავარ საზრუნავს შეადგენს.

მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და აღზრდის საკითხებს მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უკავია ჩვენი სახელმწიფოს ღონისძიებათა სისტემაში. წელს უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სწავლობს 2 მილიონ 720 ათასი კაცი. მარტო 1951 წელს უმაღლესი სასწავლებლები და ტექნიკუმები დაამთავრა 463 ათასმა ახალგაზრდა სპეციალისტმა. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 5 მილიონზე მეტი სპეციალისტი, რომლებსაც დამთავრებული უმაღლესი განათლება ან საშუალო ტექნიკური განათლება აქვთ, და ამ რაოდენობაზე არანაკლები კვალიფიციური სპეციალისტი-პრაქტიკოსი, რომლებიც წარმოებაში გაიზარდნენ და კურსებზე გაიარეს სწავლა სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ.

ყველა ჩვენს მიღწევაში დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებას. უკანასკნელ დროს ჩვენმა მეცნიერებმა გადაჭრეს სახალხო-სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობის მთელი რიგი უდიდესი მეცნიერული პრობლემები. ცოდნის მთელ რიგ დარგებში საბჭოთა მეცნიერებმა პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. უკანასკნელ დროს ღირსშესანიშნავია წარმოების მუშაკებთან საბჭოთა მეცნიერების თანამშრომლობის სერიოზული გაფართოება და გაღრმავება. ეს არა მარტო ხელს უწყობს წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა საუკეთესოდ დანერგვას, არამედ მეცნიერებასაც ამდიდრებს მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მრავალრიცხოვანი არმიის გამოცდილებით და შემოქმედებითი აზრით.

ჩვენს ქვეყანაში კულტურული აღმავლობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება. კონკრეტული სახეებით გვიჩვენებენ რა კომუნიზმის დიად იდეებს, ისინი წარმოადგენენ კომუნიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის მძლავრ საშუალებას. მიმდინარე წელი, ისევე როგორც წინა წლები, აღინიშნა ხელოვნებისა და ლიტერატურის მთელი რიგი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, რომლებიც სიმართლით ასახავენ საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ თვისებებს, მათს ცხოვრებასა და ბრძოლას სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის, მთელი მსოფლიოს ადამიანთა ბედნიერებისათვის.

პარტია და მთავრობა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძირითად ძალებსა და რესურსებს წარმართავენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, არ ივიწყებენ, რომ საჭიროა თავდაცვის განმტკიცება. ისტორიულმა გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ამხანაგ სტალინის მიერ არაერთგზის მოცემული გაფრთხილება, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება, მუდამ მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შესაძლო აგრესიას. წელს, ისევე როგორც ყოველთვის, პარტია და მთავრობა ყოველივეს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენს საბჭოთა ხალხს, რომელიც შემოქმედებითი შრომის პათოსით აშენებს კომუნიზმის დიდებულ შენობას, შეეძლოს კვლავაც

**(გაგრძელება მე-3 გვერდზე)**

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი

## ლ. პ. ბერიას მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1951 წლის 6 ნოემბერს

(გაგრძელება)

არ შიშობდეს თავისი ქვეყნის ბედისათვის. (ტაში). საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებსაც ახასიათებს მსოფლიოსათვის ცნობილი სწორუპოვარი მორალური და საბრძოლო თვისებანი, აქვთ ყველა სახეობის თანამედროვე საჭურველი, რათა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ყველას, ვინც, მიუხედავად ისტორიის დამაჯერებელი გაკვეთილებისა, კვლავ გაბედავს თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს. (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).

როგორც ცნობილია, ჩვენი გამარჯვებების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენენ ოქტომბრის რევოლუციით შობილი ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობანი. ამ უპირატესობათა ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა ის, რომ საბჭოთა წყობილებამ პირველად აამოძრავა და გაათავისუფლა ხალხის დიდი ძალები, გზა გაუკაფა კაპიტალიზმის ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებული მასების ძლიერ აქტივობასა და დაუშრეტელ შემოქმედებითს ინიციატივას. მასების სწორედ ეს აქტივობა და ინიციატივა კომუნიზმის უძლეველი ძალების უმნიშვნელოვანესი წყაროა. პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, რომლებიც რაზმავენ ხალხის ამ შემოქმედებითს აქტივობას, კვლავ წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობის საგანს.

საბჭოთა ადამიანები მუდამ აღწევენ წარმატებებს თავიანთ მუშაობაში იმიტომ, რომ მათთვის უცხოა ყოყოჩობა და თვითკმაყოფილება, რომ ისინი არასოდეს არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და თავიანთ მიღწევებს აფასებენ უმთავრესად მომავლის დიადი ამოცანების მიხედვით. კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, ჩვენი განვითარების კანონია, ყოველგვარი რუტინისა და უძრაობის, ყოველივე იმ ძველისა და მომაკვდავის დაძლევის გადამწყვეტი საშუალებაა, რაც კი ხელს უშლის ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას. მასების შეგნებულობის დონე, კადრების იდეურ-თეორიული მომზადება ბევრად განსაზღვრავს ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქმედითობას. როგორც ყოველთვის, ჩვენი პარტია მთავარ ყურადღებას აქცევს მასების კომუნისტური აღზრდის საკითხებს, კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლების, მათ მიერ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების დაუფლების საკითხებს.

კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი ახალი წარმატებების შესაბამისად განუხრელად იზრდებიან და მტკიცდებიან სოციალისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალები. ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ცხოვრებისა და შრომის ყოველი დღე იძლევა პატრიოტიზმის, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ახალ მკაფიო გამოვლინებებს. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისა და მისწრაფებების ურღვევი ერთიანობა, მათი მატერიალური და მორალური ძალების ერთიანობა ჩვენი სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. სწორედ ამ ერთიანობის მეოხებით ჩვენს სახელმწიფოს ძალუძს გადაჭრას ისეთი დიდი ამოცანები, რომლებზეც წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ კაცობრიობის ყველაზე გაბედულ მოაზროვნეებს.

### საბჭოთა კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლაში

ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი მშენებლობის უდიდესი გაქანება მჭევრმეტყველურად მოწმობს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სამშვიდობო ხასიათს და ამხილებს ცილისმწამებლებს, რომლებიც ლაყბობენ ჩვენი მთავრობის აგრესიულ განზრახვებზე.

„არც ერთ სახელმწიფოს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსაც, არ შეუძლია მთელი გაქანებით განავითაროს სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიდი მშენებლობანი, როგორიცაა, მაგალითად, ჰიდროსადგურები ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე, რომლებიც ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვენ, განაგრძოს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა, რაც აგრეთვე მოითხოვს ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს, ასეული მილიარდები დააბანდოს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, და ამასთანავე, იმავე დროს, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, გააფართოოს სამხედრო მრეწველობა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი უგუნური პოლიტიკა სახელმწიფოს გაკოტრებას გამოიწვევდა".

საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა წარმოშვა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. საბჭოთა ხელისუფლების ოცდაათ წელზე მეტი ხნის ისტორია ცხადყოფს, რომ ოქტომბრის რევოლუცია არის ახალი, კომუნისტური საზოგადოების შექმნის, მისი გეგმაშეწონილი მშენებლობის რევოლუცია. მტრების მიერ ჩვენთვის თავსმოხვეული ომები მხოლოდ ხელს გვიშლიდნენ ჩვენს დიად საქმეში.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში პარტიის XIV ყრილობაზე უაღრესი სიცხადით განმარტა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა: „ჩვენი მთავრობის პოლიტიკის, საგარეო პოლიტიკის, საფუძველს მშვიდობის იდეა შეადგენს. ჩვენი ამოცანაა მშვიდობისათვის ბრძოლა, ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა, ყველა იმ ნაბიჯის გამოაშკარავება, რომლებსაც დგამენ ახალი ომის მოსამზადებლად... ესაა ჩვენი ამოცანა".

არ ყოფილა არც ერთი საერთაშორისო კონფერენცია ან თათბირი საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, რომელზეც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს არ წამოეყენებინოთ კონსტრუქციული წინადადებანი საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. მაგრამ ჩვენი ღონისძიებანი ამ მხრივ მეტწილ შემთხვევაში აწყდებოდა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მმართველი წრეების პირდაპირ წინააღმდეგობას. მდგომარეობა დიდად არ შეცვლილა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, რომლისგანაც თითქოს ბევრი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებს სათანადო გაკვეთილები უნდა მიეღოთ.

ხალხები უდიდეს მსხვერპლს იღებდნენ და გაჭირვებას იტანდნენ აგრესიული ფაშისტური ბლოკის განადგურებისათვის იმ იმედით, რომ გამარჯვების შემდეგ მათ უზრუნველყოფილი ექნებოდათ მშვიდობიანი განვითარების პირობები. ჯერ კიდევ გაჩაღებული იყო მეორე მსოფლიო ომი, როცა ამხანაგი სტალინი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ არ კმარა ომში გამარჯვება, საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა. მაგრამ ჯერ მილიონობით დაღუპული ადამიანის სისხლი არ გამშრალიყო ბრძოლის ველებზე, რომ ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა ახალ ომზე დაიწყეს ფიქრი. ომის დამთავრებისთანავე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები დაადგნენ დიდ სახელმწიფოთა შორის ომის დროს მიღწეულ უმნიშვნელოვანეს შეთანხმებათა პირდაპირი დარღვევის გზას, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ძირის გამოთხრისა და აგრესიული ბლოკის შეკოწიწების გზას, რათა ხალხებს თავს დაატეხონ ახალი მსოფლიო ომის უბედურება.

საჭირო არ არის აქ ჩამოვთვალოთ ყველასათვის ცნობილი ფაქტები. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად აღადგენენ ომის იმ ორ კერას — დასავლეთით — გერმანიის ზონაში და აღმოსავლეთით — იაპონიის ზონაში, რომელთა ლიკვიდაციაც წარსულ ომში თავისუფლებისმოყვარე ხალხებს მილიონობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდათ და რომლებმაც კოლოსალური მატერიალური მსხვერპლი და უზომო ტანჯვა მოითხოვა მათგან.

ამ უკანასკნელ ხანს გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და ამ საქმეში აბამენ ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეებს. ამასთან, საღი აზრის წინააღმდეგ, გერმანიის მილიტარიზმის ამ აღდგენაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახლანდელი მმართველები საფრანგეთისა, რომლის ხალხის ერთმა თაობამ ორჯერ განიცადა გერმანული აგრესიის მთელი საშინელება. ადვილი მისახვედრია, თუ რატომ მიაჩნიათ უფრო მოხერხებულად ამერიკის მესვეურებს მაამებელი ფრანგების ხელით განახორციელონ თავიანთი გეგმები გერმანიის მიმართ „შუმანის გეგმის", „პლევენის გეგმის" და სხვ. სახით. მაგრამ არ შეიძლება ევროპის ხალხებს შეგნებული არ ჰქონდეთ, რომ ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო გვერდი აევლო არა მარტო პოტსდამის შეთანხმების, არამედ კავშირისა და ურთიერთ დახმარების შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1944 წელს დადებული ხელშეკრულების უხეში დარღვევის ამ ფაქტისათვის. მან სპეციალური ნოტებით განუცხადა საფრანგეთის მთავრობას მისი ახლანდელი პოლიტიკის საშიში შედეგებისა და შექმნილი მდგომარეობისათვის მისი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამას წინათ ამერიკა-ინგლისის ბლოკმა იაპონიას თავს მოახვია ეგრეთწოდებული საზავო ხელშეკრულება, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გარდა ამისა, სამხედრო შეთანხმება დადეს მასთან და აშკარად დაიწყეს იაპონიის მილიტარიზმის აღდგენა. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია იმით, რომ იაპონიასთან საზავო ხელშეკრულებაში მონაწილეობას ჩამოაშორეს დიდი ჩინელი ხალხი, რომელიც ყველაზე მეტად დააზარალა იაპონიის აგრესიამ და რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა იაპონიის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში, მაშინ როცა ამერიკელები იკვებნიან ჰონდურასის, კოსტა-რიკისა და მათი მსგავსი წვრილი ნახევრადკოლონიური სახელმწიფოების ხელმოწერას, რომლებსაც არა თუ მონაწილეობა არ მიუღიათ იმპერიალისტური იაპონიის განადგურებაში, არამედ თავიანთი მრავალი ვაჭრისა და მემამულის სახით კიდევაც მდიდრდებოდნენ იაპონიასთან ომით. არავისათვის საიდუმლოება არ არის, რომ იაპონიასთან ეს სეპარატული ხელშეკრულება ემსახურება არა მშვიდობის მიზნებს, არამედ ომის მომზადების მიზნებს. საბჭოთა კავშირი, რომელმაც არაერთხელ მოითხოვა იაპონიასთან ნამდვილი, სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადება კაიროს და პოტსდამის დეკლარაციებისა და იალტის შეთანხმების საფუძველზე, უღალატებდა თავის ტრადიციულ სამშვიდობო პოლიტიკას, ხელი რომ მოეწერა ასეთ „საზავო" ხელშეკრულებაზე. ამ ხელშეკრულების მნიშვნელობას ისიც ამცირებს, რომ მის დადებაში მონაწილეობა არ მიუღია ინდოეთს, რომელიც სიდიდითა და მნიშვნელობით მეორე სახელმწიფოა აზიაში.



გერმანიისა და იაპონიის მილიტარიზმის აღდგენის სულისჩამდგმელებს, როგორც ჩანს, არა სურთ ანგარიში გაუწიონ არც გერმანელ, არც იაპონელ ხალხს, რომლებიც სხვა ხალხებზე ნაკლებად როდი დაზარალდა მათი ამასწინანდელი მმართველების მიერ წამოწყებულმა ომმა. ამ ხალხებს არ შეუძლიათ რაიმე კარგს მოელოდნენ ახალი ომისაგან და საეჭვოა დათანხმდნენ, რომ ისინი საზარბაზნე ხორცად გამოიყენონ ამერიკელმა მილიარდერებმა.

ამერიკის ბლოკის აგრესიულ პოლიტიკას ყველაზე მეტად ააშკარავებს შეერთებული შტატების სამხედრო ინტერვენცია კორეაში. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ფუშავდნენ სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ყველა წინადადებას კორეაში ამერიკელთა აგრესიის შეწყვეტის შესახებ, ხოლო ახლა ყოველნაირად აჭიანურებენ კესონში დაწყებულ მოლაპარაკებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მამაცი კორეელი ხალხი იპოვის ღირსეულ გამოსავალს ამერიკელების მიერ პროვოცირებული სისხლისმღვრელი კონფლიქტიდან და ამით ერთხელ კიდევ დაანახვებს მსოფლიოს, რომ არავითარი ძალით არ შეიძლება იმ ხალხის დამონება, რომელსაც აქვს ბრძოლის ნებისყოფა და გამარჯვებისადმი მისწრაფება. (ტაში).

ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით ცდილობენ ომის ინსტრუმენტად გადააქციონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ამ ორგანიზაციამ თავისი ალმით დაფარა კორეაში ამერიკის აგრესია, ხოლო შემდეგ, დაარღვია რა ხალხთა ძირეული უფლებანი, აგრესორად გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მთელი მსოფლიოს პატიოსან ადამიანებს არ შეუძლიათ არ დაეთანხმონ ამხანაგ სტალინის იმ სიტყვების სამართლიანობას, რომ „არსებითად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახლა წარმოადგენს არა იმდენად მსოფლიო ორგანიზაციას, რამდენადაც ორგანიზაციას ამერიკელებისათვის, რომელიც ამერიკელი აგრესორების საჭიროებისათვის მოქმედებს".

ამ უკანასკნელ ხანს იმპერიალიზმის ბანაკში გაძლიერდა ომისათვის მზადების ტემპი. ამერიკის შეერთებული შტატები ყოველნაირად აფართოებენ ატლანტიკის აგრესიულ ბლოკს, ზეგავლენის, მუქარისა და სხვადასხვა დაპირების გზით შეჰყავთ ამ ბლოკში ახალი ქვეყნები, მათ შორის ის ქვეყნები, რომლებიც გეოგრაფიულად დაკავშირებული არ არიან ატლანტიკის ზონასთან, ახალ სამხედრო ბაზებს ქმნიან მსოფლიოს ყველა ნაწილში, გაფაციცებით აფართოებენ ყველა სახეობის იარაღის წარმოებას და დედამიწის ყველა კუთხეში ეძებენ საზარბაზნე ხორცს.

ულმობლად ახშობენ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ომის საწინააღმდეგო განწყობილებათა სულ მცირე გამოვლინებას, ნერგავენ ფაშისტურ-პოლიციურ მეთოდებს სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში. ნაჭრები „ამერიკული დემოკრატიისაგან" უბადრუკი ნაშთიღა რჩება. თვით ამერიკული პრესაც იძულებულია აღიაროს ეს. ვისკონსინის შტატის სენატორი ჩესტერ დემპსი ამას წინათ გაზეთ „კეპიტალ ტაიმსში" წერდა:

„ჩვენ გვაკვირვებდა მონური მორჩილება გერმანელებისა, რომლებიც ჰიტლერისა და ჰებელსის პროპაგანდის გავლენაში იმყოფებოდნენ. ახლა ჩვენ უფრო უარეს მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე ოდესღაც გერმანელები იყვნენ. ჩვენში აზრებისადმი სრული კონტროლი არსებობს. ჩვენ სამხედრო ხროვისა და ცილისმწამებელი მისი დამქაშების ხელში ვართ."

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეებმა იმდენად შეტოპეს, რომ პოლიციური მეთოდები საერთაშორისო ფორუმებზე გადააქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერელ პოლიტიკურ გეშეფტმახერებს შეშურდებოდათ სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე ტრუმენის მეთაურობით ამერიკელი დიპლომატების ყალთაბანდური ხერხები. (ტაში).

შეერთებულ შტატებში კაპიტალისტური მონოპოლიები სულ უფრო ძლიერ ეუფლებიან სახელმწიფო აპარატს. თუ წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტიური ბატონ-პატრონები — საფინანსო და სამრეწველო მაგნატები თვითონ ინიღბებოდნენ და პოლიტიკური ნოქრების საშუალებით იცავდნენ თავიანთ ინტერესებს პოლიტიკის დარგში, ახლა ისინი უშუალოდ იგდებენ ხელში შეერთებული შტატების ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ და დიპლომატიურ აპარატს. ცნობილია, რომ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეებს განაგებს მორგანის ჯგუფის საქმოსანი ჩარლზ ვილსონი, რომელიც მოურიდებლად აყენებს სახელმწიფო აპარატის უმნიშვნელოვანეს საჭეებთან არა მარტო ეკონომიურად, არამედ ნათესაობრივადაც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მილიარდერების — მორგანის, როკფელერის, მელონის, დიუპონისა და სხვების ყველაზე მსხვილ გაერთიანებათა ადამიანებს. ისინი მოურიდებლად იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას მილიარდერთა ინტერესებისათვის.

და აი იმ დროს, როცა მის საკუთარ ქვეყანაში პლუტოკრატიისა და პოლიციის ასეთი თარეშია, პრეზიდენტ ტრუმენს გამბედაობა ჰყოფნის მოურიდებლად ილაყბოს „დემოკრატიის უქონლობაზე" საბჭოთა კავშირში, სწორედ იმ საბჭოთა კავშირში, სადაც, როგორც ცნობილია, უკვე დიდი ხანია დამხობილია პოლიცია და პლუტოკრატია და სადაც მთელი ძალაუფლება ეკუთვნის დემოსს, ხალხს. (ხანგრძლივი ტაში).

ასეთია, ამხანაგებო, ფაქტები. ისინი მოწმობენ, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკი ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების გზას დაადგა.

ამ პირობებში თავისი სამშვიდობო პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი დაუცხრომელ ბრძოლას ეწევა ომის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ ასამბლეაზე, უშიშროების საბჭოს სხდომებზე, საგარეო საქმეთა მინისტრების სესიებზე საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით ამხილებს ომის გამჩაღებელთა გეგმებს და აყენებს კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა, უანგაროდ იცავს ხალხთა უფლებებსა და სუვერენიტეტს. ყველასათვის ცნობილია უკანასკნელი პერიოდის საბჭოთა წინადადებანი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, დიდ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ერთი წლის განმავლობაში მესამედით შემცირების შესახებ, ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისა და შემდეგ მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ, სრულიად გერმანიის დემოკრატიული მთავრობის შექმნის შესახებ. მშვიდობისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1951 წლის 12 მარტს მიღებული კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც ომის პროპაგანდაში დამნაშავე პირები მიეცემიან სასამართლო პასუხისგებაში, როგორც სისხლის სამართლის დიდი დამნაშავენი.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა ემყარება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას. მხოლოდ გულუბრყვილო პოლიტიკოსებს შეუძლიათ მისი სამშვიდობო ხასიათი განიხილონ, როგორც ურწმუნოება ჩვენი საკუთარი ძალებისადმი. საბჭოთა ადამიანებს არაერთგზის უჩვენებიათ მსოფლიოსათვის, თუ როგორ იციან მათ თავისი სამშობლოს დაცვა. იყო დრო, როცა ჩვენს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ განუმტკიცებელ საბჭოთა რესპუბლიკას მოუხდა დაეცვა თავისი არსებობა თოთხმეტი ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამხედრო ლაშქრობისაგან, რომელთაც მეთაურობდნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და იაპონიის იმპერიალისტი სვავები. მტრები გვაწვებოდნენ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ჩვენი ქვეყანა განიცდიდა ეკონომიურ ნგრევას, არა გვყოფნიდა პური მუშებისათვის, საჭურველი — არმიისათვის. ინტერვენტები დარწმუნებული იყვნენ, რომ დათვლილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს დღეები, რომ ისინი მალე ჩაახრჩობდნენ მას სამხედრო ძალით. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. „მთელმა მსოფლიომ იცის, — წერდა ამხანაგი სტალინი ამ ლაშქრობის შედეგებზე, — რომ ინგლისელი ინტერვენტებიც და მათი მოკავშირეებიც სირცხვილნაჭამი განდევნილ იქნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან ჩვენი ძლევამოსილი არმიის მიერ.

ცუდი არ იქნებოდა, რომ ეს ახსოვდეთ ბატონ ახალი ომის გამჩაღებლებს".

როცა 1941 წლის ივნისში თავით ფეხამდე შეიარაღებული ფაშისტური გერმანია, რომლის განკარგულებაშიც იმ დროს თითქმის მთელი ევროპის სამხედრო პოტენციალი იყო, ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, არა მარტო დასავლეთში იოლი სამხედრო წარმატებებით გაბრუებულ ჰიტლერელ გენერლებს ეგონათ, არამედ ჩვენი მაშინდელი მოკავშირეების ბანაკშიც ბევრი ფიქრობდა, რომ საბჭოთა არმია შეძლებდა მხოლოდ რამდენიმე კვირით, სულ ბევრი რამდენიმე თვით გამკლავებას. ნამდვილად კი სწორედ საბჭოთა კავშირის ძალამ და ძლიერებამ დაამსხვრია ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მანქანა.

ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით მშვიდობისათვის არა მარტო იმიტომ, რომ ომი არ გვესაჭიროება, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა ხალხს, რომელმაც თავის ქვეყანაში ლენინ-სტალინის დროშით შექმნა ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, აგრესიული ომი მიაჩნია უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ, უდიდეს უბედურებად მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებისათვის. მაგრამ თუ იმპერიალისტი მტაცებლები ჩვენი ხალხის მშვიდობისმოყვარეობას მის სისუსტედ მიიჩნევენ, მათ მოელით კიდევ უფრო სამარცხვინო მარცხი, ვიდრე საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურების საქმეში მათს წინამორბედებს მოუვიდათ. (მქუხარე ტაში). იტალიელებს ერთი კარგი ანდაზა აქვთ: „ვისაც არა სურს დაუჯეროს გაკვეთილებს, საკუთარ ტყავზე ისწავლის ჭკუას". (ტაში).

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ცდილობენ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მოატყუონ ლაპარაკით, თითქოს ისინი იძულებული არიან შეიარაღდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სამხედრო თავდასხმის მუქარის გამო.

ცრუ ლაპარაკი საბჭოთა მუქარაზე, საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებათა არაგულწრფელობაზე ახალი როდია. ასეთი ლაპარაკის საფარით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებმა შეაიარაღეს ფაშისტური გერმანია, და ბევრ ხალხს მეორე მსოფლიო ომის დროს ამისი ანაზღაურება თავისი სისხლით მოუხდა. მაგრამ ამაოდ ფიქრობენ ამერიკა-ინგლისის ბლოკის პატივცემული დიპლომატები, რომ ხალხებს სუსტი მეხსიერება აქვთ, რომ ასე ადვილია სიცრუის ქსელში მათი გახვევა.

ხალხები მთავრობების პოლიტიკაზე მსჯელობენ არა სიტყვების, არამედ საქმეების მიხედვით. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ აურიდებია თავი ნაკისრ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ზუსტად შესრულებისათვის. სწორედ ეს არის სიტყვისა და საქმის ერთიანობა პრაქტიკაში. მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურად გაისმის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მხრივ სხვებისათვის არაგულწრფელობაში ბრალის დადება მაშინ, როცა მათ თვითონ უხეშად გათელეს ფეხქვეშ თეირანის, იალტისა და პოტსდამის ისტორიული გადაწყვეტილებანი. მსოფლიოს ხალხებს ვერ დაუმალავენ, ვისი სიტყვა შორდება საქმეს.

საბჭოთა კავშირის მიმართ თავიანთი აგრესიული პოლიტიკა რომ გაამართლონ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოღვაწეები ცილისმწამებლურად მიაწერენ საბჭოთა ადამიანებს ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის უარყოფას.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში ჩვენი სახელმწიფოს ფუძემდებელმა ლენინმა წამოაყენა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობისა და შეთანხმებათა პრინციპი. „ჩვენი გზა სწორია, — ამბობდა ლენინი, — ჩვენ ვემხრობით მშვიდობას და შეთანხმებას, მაგრამ ჩვენ კაბალისა და შეთანხმების კაბალური პირობების წინააღმდეგი ვართ". ეს ლენინური პრინციპი საფუძვლად უდევს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას. „კაპიტალისტურ ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველს შეადგენს, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ორი მოპირდაპირე სისტემის თანაარსებობის დაშვება". ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების შეთანხმებათა რეალური ბაზაც. „ექსპორტი და იმპორტი, — აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა, — ყველაზე შესაფერ ნიადაგს წარმოადგენენ ასეთ შეთანხმებათათვის. ჩვენ გვჭირდება: მოწყობილობა, ნედლეული (მაგალითად, ბამბა), ნახევარფაბრიკატები (ლითონისა და სხვ.), ხოლო კაპიტალისტებს სჭირდებათ ამ საქონლის გასაღება. აი ნიადაგი შეთანხმებისა. კაპიტალისტებს სჭირდებათ: ნავთი, ხე-ტყე, პურეული პროდუქტები, ჩვენთვის კი აუცილებელია ამ საქონლის გასაღება. აი ნიადაგი შეთანხმებისა".

ეს ნათქვამი იყო 1927 წელს. ახლა ჩვენ გაცილებით მეტი შესაძლებლობა გვაქვს კაპიტალისტურ ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობისათვის. ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ მნიშვნელოვნად გავაფართოოთ საქმიანი თანამშრომლობა ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისსა და საფრანგეთთან და როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. საბჭოთა კავშირის ბრალი როდია, თუ ამ ქვეყნების მმართველი წრეები თავიანთ სახელმწიფოთა ინტერესების საზიანოდ დაადგნენ სსრ კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის ძირის გამოთხრისა და შეკვეცის გზას.

ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა გულისხმობს აგრეთვე პოლიტიკურ შეთანხმებებს. „ჩვენ ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — და მზადა ვართ ხელი მოვაწეროთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტებს. ჩვენ ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას და მზადა ვართ შევუთანხმდეთ სხვებს განიარაღების საკითხზე, თვით მუდმივი არმიების სრულ მოსპობამდეც კი, რაც ჩვენ განვაცხადეთ მთელი მსოფლიოს წინაშე ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე. აი ნიადაგი შეთანხმებისა დიპლომატიური ხაზით".

მაგრამ იმპერიალისტებს შეთანხმება როდი უნდათ. მათ ეშინიათ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებებისა, რადგან ასეთმა შეთანხმებებმა შეიძლება ჩაშალოს მათი აგრესიული გეგმები, ზედმეტი გახადოს გამალებული შეიარაღება, რაც მათ მილიარდობით ზემოგებას აძლევს. იმპერიალისტებს ომი ესაჭიროებათ. იგი მათ ესაჭიროებათ ხალხების საძარცვავად და დასამონებლად, იგი პირველ რიგში ესაჭიროებათ ამერიკელ მონოპოლისტებს კოლოსალური ზემოგების მისაღებად.

ომისათვის მზადებას მეთაურობენ ამერიკელი იმპერიალისტები და, მიუხედავად ამისა, შეერთებული შტატების მოღვაწენი განუწყვეტლივ ლაყბობენ თავიანთ ვითომდა სამშვიდობო განზრახვებზე. ისინი, თურმე ნუ იტყვით, წინააღმდეგი არ არიან „შენარჩუნებულ იქნას" მშვიდობა, მაგრამ იმ „პირობებში", რომლებსაც შეერთებული შტატები მოითხოვენ. ხოლო როგორია ეს „პირობები"? მსოფლიოს ხალხებმა მუხლი უნდა მოიყარონ ამერიკის კაპიტალის წინაშე, ხელი აიღონ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, მიიღონ მმართველობის ის ფორმა, რომელსაც მათ თავს მოახვევენ ამერიკელი „მრჩევლები", შემოიღონ „ამერიკული ცხოვრების წესი", განავითარონ მეურნეობის მხოლოდ ის დარგები და მხოლოდ იმ ოდენობით, რაც სასურველი და ხელსაყრელია ამერიკელი მონოპოლისტებისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხებმა ხელი უნდა აიღონ თავიანთ პოლიტიკურ სუვერენიტეტსა და ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე, თავიანთ კულტურულ და სხვა ინტერესებზე და ახალმოვლენილი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი

## ლ. პ. ბ ე რ ი ა ს მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1951 წლის 6 ნოემბერს

(დასასრული)

ამერიკული იმპერიის ქვეშევრდომნი გახდნენ. და ამას უწოდებენ მშვიდობის „შენარჩუნებას"! მართლაც, რატომ უნდა გასწიონ ამერიკის იმპერიალიზმის მესვეურებმა ომის რისკი, თუ კი ისინი მხოლოდ მუქარისა და შანტაჟის გზით მოახერხებენ თავიანთ დიქტატს დაუმორჩილონ ხალხები? როგორც ცნობილია, ასეთ „მშვიდობის პირობებზე" ცოფიანი ჰიტლერიც თანახმა იყო. მაგრამ აკი სწორედ ამ იმპერიალისტურმა „მშვიდობის პირობებმა" გამოიწვია მეორე მსოფლიო ომი. ცხადია, რომ ტრუმენი, აყენებს რა ანალოგიურ „მშვიდობის პირობებს", ჰიტლერის გზას ადგება და მიზნად ისახავს ხალხები ჩაითრიოს მესამე მსოფლიო ომში.

ყოველ პატიოსან ადამიანს ებადება კანონიერი კითხვა: რა საფუძვლით აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვა ქვეყნებს შორის განსაკუთრებული მდგომარეობის პრეტენზია? განა მსოფლიოს ხალხები თანასწორუფლებიანი არ არიან. იქნებ იმ საფუძვლით, რომ მათ აქვთ ბევრი ოქრო, რომელიც მილიონობით ადამიანის სისხლის დაღვრისა და ტანჯვის შედეგად შეიძინეს და ...

... რიალიზმის ბანაკის ყველა ქვეყანას, მაგრამ მათგან კვლავ მთავარია წინააღმდეგობანი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის როგორც ევროპაში, ისე აზიაში.

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ იმპერიალისტების ბანაკში წინააღმდეგობანი თანდათან სულ უფრო გაღრმავდება.

კიდევ უფრო სერიოზული ფაქტორია იმპერიალიზმის ზურგის სისუსტე. რაც უნდა ეცადონ იმპერიალისტები სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხები, რა დახელოვნებაც უნდა გამოიჩინონ მშრომელთა ინტერესების გამცემლობაში მემარჯვენე სოციალისტებმა, იმპერიალიზმის ამ გულმოდგინე მსახურებმა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ თვით იმპერიალიზმის ბანაკში, იმპერიალისტების ზურგში არის მშვიდობის მომხრეთა მნიშვნელოვანი ძალები ფიზიკური და გონებრივი შრომის მილიონობით პატიოსანი ადამიანის სახით, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს კაპიტალის ყოველგვარ ნასუფრალზე უფრო მაღლა აყენებენ. მასების ომისსაწინააღმდეგო განწყობილება არ შეიძლება არ ძლიერდებოდეს იმასთან დაკავშირებით, რომ ...

... ვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური პრობლემები კაპიტალისტური სამყაროსაგან სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ჩინეთის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

წარმატებით ავითარებს მშვიდობიან მშენებლობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც მტკიცედ დაიკავა თავისი ადგილი დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკში. იგი მტკიცედ იბრძვის მთელი გერმანელი ხალხის ...

[illegible]

იმპერიალიზმის ფრონტის გარეგნული ერთიანობა ვერ დაფარავს მის ღრმა შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც დაკავშირებულია უმთავრესად ნედლეულის რესურსებისათვის, გასაღების ბაზრებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის ბრძოლასთან. ეს წინააღმდეგობანი გადახლართულია ერთმანეთთან, მოიცავენ იმპე-

... სახალხო რესპუბლიკამ, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი არსებობის მოკლე ვადაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო განემტკიცებინა სახალხო დემოკრატიის დიქტატურის წყობილება და გადაეწყვიტა მთელი რიგი მნიშ-

... დემოკრატიის გამარჯვებისათვის!

(ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. რამდენიმე წუთს გრძელდება ოვაცია საბჭოთა ხალხის გიგანტურ ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, კაცობრიობის ნათელი გენიის, მშვიდობის მედროშის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის პატივსაცემად).

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომა მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი

დიდი ზეიმის—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის წინადღეს საზეიმოდ მოირთო საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ქუჩებმა და მოედნებმა სადღესასწაულო ელფერი მიიღეს, შენობათა ფასადები დამშვენდა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის, მათ თანამებრძოლთა პორტრეტებით, წითელი დროშებით. ალისფერ არშიებზე წარწერილია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა თბილისის პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისადმი.

საზეიმო სხდომაზე შეიკრიბნენ დედაქალაქის მოწინავე ადამიანები — საწარმოთა სახელმოხვეჭილი სტახანოველები და ინჟინრები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები და ოფიცრები.

ფარდა იხდება. სცენა საზეიმოდ არის მორთული. მის სიღრმეში მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადების—ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტები, რომლებიც შემკულია წითელი დროშებით და ცოცხალი ყვავილებით.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, არმიის გენერალი ა. ანტონოვი, მ. ბარამია, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, ზ. კეცხოველი, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, კ. ციმაკურიძე, ნ. რუხაძე, ი. კოჩლამაზაშვილი, მ. ლელაშვილი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მინისტრები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა გახსნა ამხ. მ. ლელაშვილმა.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა პარტიის ლენინის რაიკომის მდივანს ამხ. მ. მაღრაძეს.

— წინადადება შემომაქვს,—ამბობს იგი, — დღევანდელი საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი...

დარბაზში დიდხანს არ ცხრება ტაში და ოვაცია მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის ბრძენი სტალინის პატივსაცემად.

საპატიო პრეზიდიუმში დიდ სტალინთან ერთად არჩეულ იქნენ ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი და ა. ნ. კოსიგინი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის წინამძღოლობით, დაწვრილებით გააშუქა საქართველოს მშრომელთა მიღწევები დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის. ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ბრწყინვალე გამარჯვება სამგორელი მშენებლებისა, რომლებმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის წინა დღეებში ხორცი შეასხეს ქართველი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას — მწყობრში ჩააყენეს ზემო სამგორის მაგისტრალური არხი.

თავისი მოხსენების ბოლო ნაწილში მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებაზე, მშვიდობის მომხრეთა მძლავრ ბრძოლაზე ამერიკელ-ინგლისელ ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმების ჩაფუშვისათვის.

— საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე, — ამბობს დასასრულ მომხსენებელი, — ქართველმა ხალხმა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად ერთსულოვნად მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და ამით გამოხატა თავისი ურყევი მისწრაფება მტკიცე მშვიდობისაკენ. მშვიდობის საქმე უძლეველია. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე იმიტომ, რომ მშვიდობისათვის ბრძოლას სათავეში უდგას ამხანაგი სტალინი, რომლის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი შეუჩერებლად მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მომხსენებელი დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდხანს არ ცხრება ოვაცია დიდი სტალინის პატივსაცემად.

საზეიმო სხდომამ მქუხარე ტაშის გრიალში მიიღო მისალმება დიდი სტალინისადმი.

• • •

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით.

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 5 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ გააფთრებულ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებთან და ლისინმანელთა ჯარებთან და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მათ.

ცენტრალურ ფრონტზე ხვანჯონის ჩრდილოეთით ამერიკის 24-ე დივიზიისა და ლისინმანელთა მე-2 დივიზიის ნაწილებმა ავიაციის, ტანკებისა და არტილერიის დახმარებით გააფთრებული იერიშები მოიტანეს, რათა გაერღვიათ სახალხო არმიის თავდაცვის ხაზი. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

5 ნოემბერს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 4 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

# კორეაში ომის შეწყვეტისათვის

## ამერიკელ მოღვაწეთა ჯგუფის მიმართვა ტრუმენისადმი

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). 43 შტატის 417 თვალსაჩინო ამერიკელმა მოღვაწემ პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მათ მიმართეს პრეზიდენტ ტრუმენს და მოუწოდეს „მიაღწიოს ომის შეწყვეტას კორეაში და დაზავების განხორციელებას, რაც გამოიწვევს მშვიდობის სრულ აღდგენას". მიმართვის ავტორები წერენ, რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების ხშირი შეწყვეტა იწვევს მათს შეშფოთებას, და აღნიშნავენ: „ჩვენ გვაწუხებს საკითხი, აკეთებს თუ არა ჩვენი მთავრობა ყოველივე შესაძლებელს, რათა მიღწეულ იქნას მოწესრიგება".

წერილის ხელმომწერთა შორის არიან მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ემილია ბელჩი, კვაკერთა ორგანიზაციის „საზოგადოების სამსახურში მყოფ ამერიკელ მეგობართა კომიტეტის" თავმჯდომარე პროფესორი კედბერი, ცინცინატის ებრაელთა კოლეჯ „ჰიბროუ იუნიონ კოლეჯის" თავმჯდომარე კრონბახი, ჟურნალ „ჩერჩმენის" რედაქტორი დოქტორი შიპლერი, პროფესორი ჰევიგჰარსტი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი), ანდოვერის სასულიერო სკოლის დეკანი გეზერკი და ევანგელიკურ-რეფორმისტული ეკლესიის მშვიდობის საკითხთა კომისიის მდივანი კოხი.

გარდა ამისა, მიმართვას ხელი მოაწერეს პროტესტანტმა მღვდლებმა ალაბამის, აიოვის, კენტუკის, მისისიპის, მისურის, ვირგინიის შტატების შორეული რაიონებიდან, აგრეთვე ნიუ-იორკიდან, ჩიკაგოდან, ლოს-ანჟელოსიდან და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა დიდი ქალაქებიდან.

# ამხანაგი ა. ი. ვიშინსკი პარიზს ჩავიდა

პარიზი, 5 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პარიზს ჩამოვიდა მეთაური საბჭოთა დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სესიაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ა. ი. ვიშინსკი.

აღმოსავლეთ ვაგზალზე ამხ. ვიშინსკის შეხვდნენ საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს შემადგენლობა ელჩის ამხ. ა. პ. პავლოვის მეთაურობით, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების წევრები და მეთაურები, აგრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის პარიზს წინათ ჩამოსული წევრები, საფრანგეთში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლები ელჩის მეთაურობით.

ამხ. ვიშინსკის შეხვდნენ აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბ-ნი შევინიე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს საოქმო განყოფილების გამგე ბ-ნი დენუ.

# დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა ფრენბურთში

დამთავრდა სსრ კავშირის მე-14 პირველობის გათამაშება ფრენბურთში. ჩვენი ქვეყნის 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის „დინამოს" ვაჟთა გუნდმა, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა. მეორე ადგილზე გამოვიდა კიევის „სპარტაკის" ახალგაზრდა კოლექტივი, მესამეზე—მოსკოვის „ლოკომოტივი". სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის ცდსა-მ გათამაშების უკანასკნელ დღეს დამარცხება განიცადა მოსკოვის „ლოკომოტივთან" და მეორე ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა.

ქალთა გუნდებიდან ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოსკოვის „დინამოს" კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „ლოკომოტივი", მესამეზე—ლენინგრადის „სპარტაკი". დინამოელებს წარმატება მოუპოვა შესანიშნავმა სპორტულმა ოსტატობამ, შეთანხმებულმა თამაშმა და გამარჯვებისადმი მტკიცე მისწრაფებამ. საქართველოს ვაჟთა და ქალთა გუნდებმა ვერ გამოავლინეს თამაშის მაღალი კლასი, კოლექტიურობა და ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფილი ცოდნა. ამიტომ ვაჟთა გუნდი მე-10 ადგილზე გამოვიდა, ხოლო ქალთა —მერვეზე.

შეჯიბრების დასასრულს გამარჯვებულ კოლექტივებს—მოსკოვის „დინამოს" ქალთა და ვაჟთა გუნდებს გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის გარდამავალი ჯილდოები, ხოლო მოთამაშეებს—ჩემპიონის ოქროს მედლები და მაისურები. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გამოსულ კიევის „სპარტაკის", მოსკოვის „ლოკომოტივის" ვაჟთა და მოსკოვის „ლოკომოტივისა" და ლენინგრადის „სპარტაკის" ქალთა გუნდებს გადაეცათ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

# ახალი წიგნები

გ. ხაჭაპურიძე — **საქართველოს ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში** (რუსულ ენაზე). მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. 1951 წ. ტირაჟი 20.000, გვ. 341, ფასი 7 მან.

ვ. შადური — **პუშკინის მეგობარი ა. ა. შიშკოვი და მისი რიცხვანი საქართველოზე** (რუსულ ენაზე). „ზარია ვოსტოკა", 1951 წ., ტირაჟი 10.000, გვ. 382, ფასი 15 მან.

# თეატრებში

**7 ნოემბერს:** ოპერისა და ბალეტის—„დუბროვსკი" (მე-5 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „დიადი მომავლისათვის"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„მისი ვარსკვლავი"; **გრიბოედოვის სახელობის**—„დირექტორი" (42-ე და 43-ე აბ.); **სომხური დრამის**—„გაყიდული სახლი"; **მუსიკალური კომედიის**—„საჩუქარი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„სიკვდილი ბელადისა".

**8 ნოემბერს:** ოპერისა და ბალეტის—„ტრავიატა" (დილით), „გორდა" (საღამოს, მე-6 აბ.); **რუსთაველის სახელობის**—„დიადი მომავლისათვის" (დილით), „თბილისელი ქალიშვილი" (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის**—„მისი ვარსკვლავი" (დილით), „სანაპიროზე" (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—„სიყვარულთან ხუმრობა არ შეიძლება" (დილით და საღამოს 30-ე აბ.); **სომხური დრამის** — „გაყიდული სახლი" (დილით და საღამოს); **მუსიკალური კომედიის**—„მზის დაბნელება" (დილით), „საჩუქარი" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბედნიერებისაკენ" (12 ს.), „ლადო კეცხოველი" (მე-19 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** —„განწირულნი" (11 ს. და 5 ს. ); **თოჯინების ქართული**—„ბატის ჰუკი" (12 ს. და 2 ს.).

**9 ნოემბერს:** ოპერისა და ბალეტის—„ტრავიატა" (მე-8 აბ. ა. ბოიკოს მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის**—„მეთორმეტე ღამე"; **გრიბოედოვის სახელობის**—„დირექტორი" (34 და 35 აბ.); **მუსიკალური კომედიის**—„ჩემი გიუზელი" (1-ლი აბ.); **სანკულტურის თეატრი**— „სიკეთის ძალა".

# კინოებში 7 და 8 ნოემბერს

**რუსთაველის სახელობის** — „ლენინი ოქტომბერში"; **„ოქტომბერი"**, **„ამირანი"**, **„იხანი"**, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი)—„შუქი კოორდში"; **„თბილისი"**—„ბერლინის დაცემა"; **„სპარტაკი"**—„ვაჟკაცობა"; **„კომკავშირელი"** — „ლენინი 1918 წელში"; **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი)—„ოქროს ვარსკვლავის კავალერი"; **„დიდუბე"**—„ახალგაზრდა გვარდია"; **„კოლმეურნე"**—„შეხვედრა ელბაზე".

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

**8 ნოემბერს**

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 10.30 —„ პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება. 12.00 — ქალაქების: მოსკოვის, თბილისის, რიგის საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია მოსკოვიდან. 17.10 — ბედნიერ ბავშვთა სიმღერები. 17.30 — გადაცემა სკოლამდელთათვის. 18.15 — რადიოინსცენირება კაზაკევიჩის მოთხრობა „ვარსკვლავის" მიხედვით. 20.30 — კონცერტი ბარნაბიშვილის, გეგუჩაძისა და ამირაჯიბის შესრულებით. 21.10 — საუბარი: „სახალხო სასამართლოების არჩევნები და აგიტატორთა ამოცანები". 21.30 — კომპოზიტორ სულხან ცინცაძის პოემა სტალინზე. 21.55 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 22.40 — ლიტერატურული გადაცემა: ნაწყვეტი მირცხულავას პოემიდან „რუსთავი". 23.00 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომის მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო მინისტრისა.

ბრძანება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო მინისტრისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავი—ლ. პ. ბერიას მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1951 წლის 6 ნოემბერს.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომის ანგარიში.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03289